1877—1893

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

№ 260

ოთხშაბათი, 1 დეკემბერს 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“
გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

გუშინდელ ნომერთან გიგზავნა პრეისკურანტი დონნერისა და ლეიტცის მაღაზიისა.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 1 დეკემბერს,
ბენეფისი
კ. დ. ყიფიანისა
ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძის და გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება:

I
**ხათაბალა**
კომ. 5 მოქ., გ. სუნდუკიანცისა

II
**მოტია**
ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, მაქსიმიძისა, ყიფიანი, აწყურელი და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

## ტფილისი, 1 დეკემბერს

ამ უკანასკნელს დროში ერთმა დავიწყებულ ამბის მოგონებამ გამოიწვია ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ფრიად საინტერესო კამათი ანონიმისა და ფსევდონიმის შესახებ ლიტერატურაში.

კალმის ბოროტად ხმარება ჩვენში ჯერ იშვიათია და სწორედ ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში, მეტადრე მდაბიო ხალხში, ყოველსავე დაბეჭდილს სიტყვას დიდი პატივისცემა და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება, რასაკვირველია, უფრო ამძიმებს ყოველ იმ მოღვაწის მოვალეობას, რომელიც-კი მოიწადინებს კალმით სამსახური გაუწიოს თავისს სამშობლოს. კალამი უდიდესი და უმძლავრესი იარაღია ამისთანა უმანკო საზოგადოებაში, იმ საზოგადოებაში, რომელიც მხოლოდ ლიტერატურით სულდგმულობს და ლიტერატურაა ერთად-ერთი გამომთქმელი მისის საჭიროებისა, მისის სურვილისა, მისის გულისპასუხისა. ლიტერატურამ პატრონობა უნდა გაუწიოს ერს, უწინამძღვროს გაჭირვებაში ყველგან, ნამეტნავად-კი იქ, სადაც ლიტერატურა საზოგადო დაწესებულებაც არის და საეროვნო სკოლაც. ლიტერატურა არის ერთად-ერთი იარაღი ჩვენის ქვეყნის აღორძინებისა და სწავლა-განათლების მძლავრ სხივების მომფენი ჩვენს დაქვეითებულს ქვეყანაში.

ამიტომ გულის ტკივილით უნდა აღნიშნულ იქმნას ყოველივე იმისთანა ამბავი ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც ძირს უთხრის მის უსაზღვრო ნდობასა და ზნეობრივს ავტორიტეტს, რომელიც ხელს უშლის აღასრულოს თვისი უმაღლესი დანიშნულება.

სწორედ ამ გვარი მოქმედება აქვს უსახელო ავტორობას ანუ ანონიმს ლიტერატურაში.

ჟურნალ-გაზეთებში, რასაკვირველია, ანონიმი სრულიად არ არსებობს, რადგანაც ყოველივე ხელ-მოუწერელი წერილი სარედაქციოა და მის შინაარსის პასუხის მგებლად რედაქცია უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით რედაქტორი, რომლის სახელი და გვარი ყოველს გაზეთსა თუ ჟურნალს ქვეშ აწერია. სალიტერატურო ზნეობას ჩირქსა სცხებს მარტო იმისთანა ნაწარმოები კალმისა და სტამბისა, რომელსაც არ აწერია არც ავტორის სახელი, არც რედაქტორისა და არც გამომცემლისა. ასეთია ყოველ გვარი უსახელო წიგნი და წიგნაკი.

მეტად საყურადღებო აზრებია წარმოთქმული ეხლახან დაბეჭდილს შოპენჰაუერის წიგნში „აზრი წერისა და ენის შესახებ“. ეს გამოჩენილი ფილოსოფოსი ამბობს: „არსად არ არის იმოდენა უპატიოსნობა, როგორც ლიტერატურაში; ეს აზრი უკვე გამოსთქვა გეტემ და მეც იგივე განვიმეორე იმ ჩემს ნაწერში, რომელსაც სათაურად აქვს „ნება ბუნებასა შინა“. სწორედ ამიტომ უპირველესად ყოვლისა აღკრძალულ უნდა იყოს ლიტერატურაში ანონიმი, რადგანაც ანონიმის შემწეობით უჩინარი ავტორი დაუსჯელად უწევს მთავრველობას ყოველ გვარს სალიტერატურო ავაზაკობას“... „ვისაც არ უნდა დაასახელოს თავისი თავი, ცხადია, იმას საზოგადოების მოტყუება სწადიან... უსახელობას ყოველთვის ის განზრახვა აქვს, რომ უცოდინარობამ დაუსჯელად გაიმარჯვოს მეცნიერებაზედ, სისულელემ—ჭკვიანობაზედ...“ „განა უსახელობა, განაგრძობს იგივე ავტორი, ავაზაკობის უძლიერესი ციხე-სიმაგრე არ არისო? ამისთანა საქციელით კაცს შეუძლიან შეიძინოს ფული, ქონება და სახელი-კი არასოდეს“... „სწორედ უპატიოსნებაა, რომ უსახელო ავტორმა შეურაცხება მიაყენოს იმას, ვისაც თავის ნაწერებისათვის თავისი სახელი უწოდებია, ხელი მოუწერია“. რუსსო ამბობს: „ყოველმა პატიოსანმა კაცმა თავის დაწერილს წიგნს თავისი გვარი მოაწეროსო (tout honnête homme doit avouer les livres qu'il publie). შემდეგ შოპენჰაუერს მოჰყავს რიმერის წიგნითგან გეტეს შესახებ, ერთი აზრი, რომელიც, ავტორის ფიქრით, უნდა ეთანხმებოდეს გეტეს აზრს ანონიმის გამო: „პირდაპირი მტერი, რომელიც აშკარად გამოდის საწინააღმდეგოდ, პირ-ბადე ჩამოუფარებლად, არის მტერი პატიოსანი, ამასთან, დარბაისელი. შეიძლება კაცმა იმასთან საქმე დაიჭიროს, აზრი გამოირკვიოს და იქნება მოურიგდეს კიდეც. ხოლო დამალული მტერი სულ-მდაბალი და მხდალი გაიძვერაა, რომელსაც იმოდენა მამაცობაც-კი არა აქვს, რომ თავისს ნაწერს ხელი მოაწეროს. ამით, რასაკვირველია, თავისს აზრსაც პატივს არა სცემს და მხოლოდ იმ ფიქრშია, მე არავინა მხედავს და დაუსჯელად შემიძლიან მოვიკლა წყურვილი შურის-ძიებისა და ჩუმად ვისიამოვნოო“.

ყოველს უსახელო ავტორს შეგიძლიანთ მიჰმართოთ და უთხრათო,—ამბობს ფილოსოფოსი: „საზიზღარო, სთქვი, ვინა ხარ! სთქვი, იმიტომ-რომ არც ერთი პატიოსანი კაცი არ იკადრებს და არ დაეცემა თავს ნიღაბ-ჩამოფარებული იმას, ვისაც სახე-მობურული არა აქვს“.

ყოველივე ესე, რაც-კი ზემოდ არის ნათქვამი ანონიმის შესახებ, უნდა ითქვას ფსევდონიმზედაც ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი იხმარება მარტო იმიტომ, რომ სხვას თავზედ ლაფი დაასხას და ვერავინ-კი გაიგოს, ვინ არის ის ვაჟბატონი, რომელიც სცდილობს ასე მამაცურად თავისი ჭუჭყი სხვას მოსცხოს.

მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში ფსევდონიმს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ეხლანდელი გარემოება ჩვენის ლიტერატურისა იმისთანაა, რომ ფსევდო-

# ფელეტონი

## მანგანეზის ანუ შავი-ქვის წარმოება საქართველოში ხალხის მომავალ კეთილ-დღეობასთან დაკავშირებით

(დასასრული *)

ქვის ფასი უცხოეთში ამ წლის დამდეგს თუმცა შარშანდელზედ მცირე იყო, მაგრამ მაინც ეგ ფასი სახეიროა იმათთვის, ვისაც ქვის ჩაბარების ვადა ამ წლის დამლევს აქვს. წლის დამდეგს ქვის გადატანა მუდამ ძვირად ღირდა, წლის მიწურულებში-კი კლებულობდა. ქვის ფასიც საზღვარ გარედ ასეა,—წლის დამდეგს მატულობს და გასულს კლებულობს; მაშასადამე, ვინც ადრე ჰყიდდა შავქვას, მოგებად რჩებოდა იაფად გადმოტანის ფული. შავის-ქვის (მანგანეზის) მწარმოებელი არა ნაკლებ შეწუხებაშია, ვიდრე ბირჟაზე მოთამაშე; მისი მოგება და წაგება ამინდზედაცკია დამოკიდებული: კარგი ამინდია—ქვის გადატანა ადვილია და იაფი, ცუდი ამინდია—ძვირია და ძნელი. ერთ ცეცხლის გემზედ მწარმოებელმა შეიძლება წააგოს, მეორეზე ორად მეტი მოიგოს და სხვა. თუმცა რკინის გზის შემდეგ ბუნების ძალა შემცირდება, მაგრამ, ბაზრის სიშორის გამო, ეს წარმოება დიდ ყურადღებას, სიფრთხილეს და გამოცდილებას ითხოვს. უცხოელ მექარხნეთაც არა სძინავთ და ანგარიშიც კარგად იციან. ამ წლის დამდეგს თითო პროცენტი ლითონი მანგანეზისა ტონში (ტონი 62 ფუთია) ღირებულა $14—14^1/_2—14^2/_3$ პენსი (კურსით ეს $14^1/_2$ პენსი 58 კაპეიკია). საზოგადოდ მწარმოებელი უთვლის მყიდველს და ჰკისრულობს კიდეც, ამდენი და ამდენი პროცენტი (უფრო 50—51%) იქმნება საკუთრად ლითონი ჩემს გამოგზავნილს მანგანეზშიო. კარგად გაწმენდილი შავი-ქვა ჭიათურისა, თუ ჩხარის შავი-ქვა არ ურევია, რომელიც შეიცავს 46%, ან აჯამეთისა (49%), უნდა შეიცავდეს 54% მანგანეზის ლითონს, კიდევ მეტსაც (55—57%). ვჰსქვათ, შეიცავს 54%-ს, მაშინ ერთი ფუთი ეღირება $\frac{54.\ 58}{62}$ =50,51 კაპ; მაშასადამე, რაც მეტს პროცენტს შეიცავს შავი-ქვა, უფრო მეტი ფასი ექმნება მანგანეზს; რასაკვირველია, ქვის სინოტიე-სისველესაცა აქვს მნიშვნელობა. აქედგან სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ანალიზებს. ერთსა და იმავე მადანში ათას ნაირის თვისების შავი-ქვის ლითონი იპოვება, და ჩვენმა მწარმოებლებმა არ იციან, რომელში რამდენი პროცენტია ლითონი. არც ერთ მწარმოებელს არ აქვს პატარა ლაბორატორია, როგორც ეს შემოღებულია წესიერ მადნებში საზღვარ-გარედ და რუსეთშიაც, სადაც ნაწარმოებს უანალიზოდ არ სტოვებენ. მერე მანგანეზის ანალიზი ძლიერ ადვილი საქმეა იმისთვის, ვისაც-კი ქიმია პრაქტიკულად შეუსწავლია. თითო ფუთი შავი-ქვა, თუ მივიღებთ მხედველობაში ხარჯს მის ამოღებისას მადნითგან, მადნის განათლებისას, გამაგრებისას და ირალისას, ჯდება 3 კაპ. ესეც იმაზეა დამოკიდებული, ვინ არის მწარმოებლად,—თვით მემამულეა, თუ მოიჯარადრე; თუ თვით არის მემამულე, გამოსარკვევი მხოლოდ ის არის, თუ როდის აქვს შეძენილი ეგ მამული. ეხლა ქცევა შავ-ქვიან ადგილისა ჭიათურის ახლო-მახლო 1000 მანეთი ჰღირს, ჭიათურის მოშორებით 500—800 მანეთი, მაშინ როდესაც ამ ორის წლის წინად 500—800 მან. იყო. ადმინისტრაციაზედ ზესტაფონამდინ ფუთზედ 2 კაპ. იხარჯება. მადნებითგან ზესტაფონამდის შავიქვა ათას ნაირის გზითა მიჰქონდათ; ორთაშუა რიცხვით, თითო ფუთის გადატანა ჯდებოდა დღემდე, 23—24 კაპ; ეს ფასიც ხშირად იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იქმნა აწონილი შავი-ქვა სასწორზედ. გადატანა ზესტაფონითგან ფოთს, გემის დატვირთვით, 5 კაპ. ჯდება ფუთზედ. ზღვის ფრახტი აქამდის იყო ტონზედ 12 შილინგი, ეხლაკი გაუხდიათ 13—14 შილინგი, ე. ი. 12 კაპ. ფუთზედ. სულ ეს სხვა-და სხვა ხარჯი გამოვა 41 კაპ. გარდა ამისა, აქ მხედველობაში მისაღებია სარგებელი იმ ფულისა, რომელიც წინდა-წინ ეძლევა გამყიდველს, ესრედ-წოდებულის ავანსებისა, აგრედვე კურსი, სინოტიე შავი ქვისა და სხვა. ქვის ფასი ძრიელ დაეცა, მანგანეზის თვითოეულ პროცენტზედ 12 პენსზედ მეტს აღარ იძლევიან.

პირველი მეცილე და მტერი საქართველოს შავი-ქვისა ამერიკული შავიქვაა, რომელშიაც ნაკლებია ფოსფორი და რომელიც იაფი გადასატანია, თუმცა მისი წარმოება ამ ბოლოს წლებში ძრიელ შემცირდა. ამერიკაში სამ გვარი შავი-ქვის ლითონი იპოვება: 1) თვით შავი-ქვის ლითონი, 2) შავი ქვის ლითონი რკინის ლითონ-ნარევი, რომელიც იხმარება რკინის გამოსადნობად და 3) შავი-ქვის ლითონი ვერცხლის ლითონ-ნარევი, რომელიც იხმარება ვერცხლის გამოსადნობად. თომასის მოგონების შემდეგ, მექარხნეებს ფოსფორისა ისე აღარ ეშინიანთ. ჭიათურის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, თუ ტარიფი შეამცირეს, შავი-ქვის გადატანა ჩვენშიაც ისე ძვირად აღარ დაჯდება, მაგრამ ფასი შავის-ქვისა მაინც ხან აიწევს და ხან დაიწევს, ფოლადის ფასის მიხედვით.

ჭიათურის რკინის გზის შტო თითქმის დასრულდა; მატარებელმა კიდეც დაიწყო კივილი ჭიათურაში. მაგრამ ეხლავე აღმოჩნდა, რომ ეს გზა ჯერ უდროვოა. შავი-ქვის ფასმა უკვე დაიწია $15^1/_2$ პენსითგან თვითოეულ პროცენტზედ 12 პენსამდე. ხალხს-კი, რკინის გზის გაყვა-

*) იხ. „ივერია“, № 259.

ნიმი იფარავს ავტორს ბევრ წვრილმან უსიამოვნობისაგან წინაშე კანონისა და საზოგადოებისა. ამას გარდა, ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომელიც პირველად გამოდის სალიტერატურო ასპარეზზედ, ცოტა არ იყოს, ებრძალება თავისს ახალ პროფესიას, და ვიდრე ასეთი მწერალი შეეჩვევა თავის ახალს საქმეს, ფსევდონიმსა ჰხმარობს, რათა უფრო ადვილად ადევნოს თვალ-ყური საზოგადო კრიტიკას და გაიგოს, გულ-გრილადა თუ გულმხურვალედ ეკიდება საზოგადოება ახლად მოვლენილს ლიტერატორს. ბევრი ფსევდონიმი გამქრალა სალიტერატურო ასპარეზითგან, გამქრალა იმიტომ—რომ მის პატრონს ვერ დაუმსახურებია სახელი და პატივი. მაგრამ ვისაც-კი სახელი მოუხვეჭია, იმისი ნამდვილი გვარი მალე გამოაშკარავებულა. ამისთანა მწერალისათვის ფსევდონიმი ძვირფასი საუნჯეა. ამ ფსევდონიმით იცნობს იმას ქვეყანა. ეს ფსევდონიმი ეწერა ყოველ იმ თხზულებას, რომელმაც დაანახვა საზოგადოებას მისი ნიჭი, მისი სალიტერატურო ვინაობა.

ჩვენს პატარა საზოგადოებაში, რაც უნდა ბევრი ჰმალოთ ფსევდონიმი, ორ კვირაზედ გამოაშკარავდება ხოლმე და ამიტომ არავითარი შიში არ არის, რომ რაიმე უპატიოსნება ჩაიდინოს კაცმა და ეს უპატიოსნობა დაჰმალოს, ფსევდონიმს ამოეფაროს და დაუსჯელად შეირჩინოს. ხოლო ყოველს შემთხვევაში, როდესაც მწერალი პირადად შეეხება ვისმე და განიზრახავს ფსევდონიმის წყალობით ურჩინ-მაჩინის ქუდი თავზე ჩამოიცვას, ყველას შეუძლიან ამისთანა ფსევდონიმის პატრონს, როგორც უსახელოს, მიჰმართოს შოპენჰაურის სიტყვებით: „საზიზღარო, სთქვი, ვინა ხარო?!!“

ნიკ. კავკასიძე

# ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენის ერთის საუკეთესო არტისტთაგანისა, ბ-ნ კ. დ. ყიფიანისა. მებენეფისეს თავისის ბენეფისისათვის ამოურჩევია ხუთ-მოქმედებიანი კომედია გ. სუნდუკიანცისა „ხათაბალა“, რომელშიაც საუცხოვოდ თამაშობს ზამბახოვის როლს, და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „მოტია“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ, თვით მებენეფისეს გარდა, საფაროვის ასული და გაბუნიასი.

*** ტფილისში რამდენსამე სომეხს განუზრახავს დააარსონ საარქეოლოგიო საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება შეკრება და დაცვა ყოველგვარის ძველის ნივთისა და ხელნაწერისა, რომელიც-კი შეეხება სომეხთ წარსულს ცხოვრებასა. ამ აზრით, როგორც ამბობენ, ვანქის ეზოში აშენებულ იქმნება საკუთარი სახლი.

*** ერთი უცნაური წესი შემოუღიათ რკინის გზაში: მიახლოვდება თუ არა მატარებელი რომელსამე სადგურს, მაშინვე დაჰკეტენ კონდუქტორები კარეებს და, როგორც გალიაში ჩიტი, ისე მოამწყვდევენ პასაჟირებს ვაგონებში. ბევრს გამოსვლა უნდა, ზოგს წყალი უნდა, ზოგს ყიდვა რისამე, და ასრე რომ ამწყვდიონ პასაჟირები, რა საქნელია, რა წესია? ნოემბრის 26-ს მე, ამ სტრიქონების დამწერი, თვით ვიყავი მოწამე ამ აღწერილის ამბისა; ამ კარების დაკეტამ ძალიან შეაწუხა ხალხი; კითხულობდენ, ჰკვირობდენ! პასუხად ეს გვიპასუხეს: უბილეთოდ შემოდიან და იმიტომ ვკეტავთო. უბილეთოდ სიარული ზოგიერთ პასაჟირებისა იმისაგან არ წარმოსდგება, რომ ვაგონების კარები ღია ხოლმე. აქ სხვაა მიზეზი, და ურიგო არ იქნება რკინის გზამ ეს ახალი წესი, თუ მისი შემოღებულია და არა თვით კონდუქტორებისა, მოსპოს და მით შეღავათი მისცეს მიმსვლელ-მომსვლელებს. ეს ერთი. მეორე ახალი წესი: უდროვო დროს ჩამოივლის ცოცხით მოსამსახურე და ისეთს მტვერს დაბოლს ააყენებს, რომ ხალხი აღარა სჩანს. სისუფთავე, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ისეთს დროს უნდა დაასუფთაონ ვაგონები, რომ ხალხი არ შესწუხდეს:—იმ სადგურებთან, სადაც, დიდხანს დგება მატარებელი, რომ ხალხს შეეძლოს ან ფანჯრის გაღება, ან გარედ გასვლა მტვრის მოსარიდებლად.

*** 1 იანვრითგან ბაქოში დაიწყებენ ახალ გაზეთის გამოცემას „Бак. Губ. Вѣдомости“.

*** სოფ. ქედა (ქვედა-აჭარა): 12 ნოემბერს დაიწყო აქედ დიდი წვიმები. თითქმის ორი კვირა იწვიმა განუწყვეტლივ. ხევები და მდინარენი ადიდდა, ხიდები გაფუჭდა, აგრეთვე საყანე ადგილები. ახლაც თოვლი მოვიდა და სუსხიანი ამინდი დაიჭირა. ხალხმა, მეტადრე ვინც ღარიბია, ვერ მოასწრო საზამთროდ შეშის დამზადება. ნაკლებად გვაქვს აგრეთვე საქონლის სარჩოცა. წელს ყურძენი აქედ შარშანდელზედ მეტი მოვიდა. ფუთი ისყიდება 25 კაპ., ბათუმში 50 კაპ. კაკალი და ვაშლიც შარშანდელზედ მეტი მოგვივიდა.

*** ფოთი. ფოთითგან გადიყვანეს დაბა ბაღდადში მომრიგებელ მოსამართლედ ფოთის გამომძიებელი ბ. მ. მ. მღვდლიევი, რომელმაც დაიმსახურა ყურად-ღება, სიყვარული და პატივისცემა თვისის კაცურის-კაცობით, მამართულებით და საზოგადო საქმეებისადმი დიდის გულშემატკივრობით. წასვლა ამისთანა კაცისა ფოთითგან, რომელიც დღეს ასე დაცემულია, გაცივებულია და მოკლებულია შეგნებულს ახალგაზდობას, დიდი დანაკლისია ფოთელებისათვის. ფოთელებმა დააფასეს ღვაწლი და შრომა ბ. მღვდლიევისა და გაუმართეს გამოსათხოვარი სადილი. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ყველას თვალები ცრემლებით აევსო, როდესაც ითვალისწინებდა, რომ მას აკლდება ტკბილი მეგობარი, ენაწყლიანი მობაასე, გულითადი ქართველი. ბ. მღვდლიევმა გრძნობიერი სიტყვა უთხრა მის პატივისმცემელ საზოგადოებას. ბ. ს. მგალ—მა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განმარტა მნიშვნელობა ქართველის საზოგადოებისათვის იმისთანა კაცისა, როგორიც არის ბ. მ—ი. ფოთითგან წასვლის დროს ვაგზალზედ გაჰყვნენ პატივისმცემელნი და ვარდის კონების მირთმევით და სიყვარულით გააცილეს თვისი ტკბილი მეგობარი.

# დამაკვირდი

თვით უსაშინელესი ავაზაკიც-კი სცდილობს ბოდიში მოიხადოს თავისის თავის წინაშე და დაარწმუნოს თავი თვისი, რომ შენ მიერ ჩადენილი ბოროტება არც მაგდენად დიდი ბოროტებაა და მისი ჩადენა აუცილებელი იყოო. იმის ბუნებასაც-კი სძაგს ბოროტებით თავმოწონება.

ლესინგი

**

მე ისეთი მეგობარი არ მინდა, რომელიც ჩემთან ერთად იცვლის ფერს და ყოველს ჩემს თავის დაკანტურებასაც-კი იმეორებს! ამ საქმეს ხომ ჩემი ჩრდილიც კარგად ასრულებს.

პლუტარხი

**

ყოველი ადამიანი ალერსიანი და თავაზიანია, მხოლოდ თავისს სახლს გარედ-კი.

კოცებუ

## ნაფიქრები.

გმირი უნდა გულოვნობდეს,
ქვეყნის მტერთა დაამხობდეს,
და პოეტი მუსიკობდეს,
ცა-ქვეყანას შეამკობდეს.
ქალი უნდა აშიყობდეს,
ხან მზეობდეს, ხან მთვარობდეს,
და ჭაბუკი მიჯნურობდეს,
ლხინობდეს და ყმაწვილობდეს.

დ. მაჩხანელი

# ქართული თეატრი

ყაჩაღები, დრამა 5 მოქმედ. შილერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ, კომედ. 2 მოქმედ. თავ. რ. ერისთავისა.

კვირას, 18 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა შილერის ცნობილი დრამა „ყაჩაღები“. ეს პიესა კლასიკურ პიესად ითვლება და, ჩვენის აზრით, იმისი წარმოდგენა ქართულს სცენაზედ ძნელია.

ამ ჩვენს აზრს ნათლად ასურათებს თვით ავტორის წინასიტყვაობა: „არავის ვურჩევდი ამ პიესის წარმოდგენასაო, სწერს შილერი: იმიტომ-რომ ორივესათვის, ავტორისთვისაცა და მკითხველისათვისაც, ამ პიესის გასაგებად საჭიროა ზნეობრივი ძალა, რათა ავტორმა ბიწიერებას განშვენიერება არ დაუწყოს და მკითხველმა არ შეიყვაროს იგი, მოსყიდულ და მოხიბლულ არ იქმნას მისის გარეგანის ბრწყინვალებით. საზოგადოება მეტად ბეცია, რომ გაიგოს დედა-აზრი ჩემის ნაწარმოებისა, მეტად უძლურია სულით, რომ შეეძლოს იმისი შეტყობა, რაც-კი შიგ დიდებული და მშვენიერია, მეტად ბოროტია, რომ მოინდომოს იმის გაცნობა, რაც კეთილია ამ პიესაში. ვშიშობ, რომ ვაი თუ ჩემი სურვილი არ განხორციელდეს და ბევრმა ამ ნაწარმოებში ბიწიერების ქება-დიდება ჰნახოს, იმ ბიწიერებისა, რომლის დამხობასაც მე ვცდილობ“...

თუ გერმანიის საზოგადოებისაგან ასე ეშინოდა, რას იფიქრებდა ავტორი, რომ ეთქვათ, თქვენი ნაწარმოები ქართულს სცენაზედ უნდა წარმოვადგინოთო?

ამას გარდა პიესა ერთობ იყო შეკვეცილ-შეკრეჭილი და შემოკლებული...

რაც შეეხება თარგმანს, მისი დაფასება სცენითგან გაგონით დიდად ძნელია, თუმცა მეტად-კი გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მთარგმნელს „предводитель“-ი საეკკლესიო სიტყვით „წინამძღვრად“ უთარგმნია

---

ნით, ჩამოერთვა $1^1/_2$ მილლიონი მანეთი, რომელსაც იღებდა შავის-ქვის გადატანით. ამასთანავე გაადვილდა უცხოელების შემოსევა. რაკი ერთხელვე გადავწყვიტეთ, რომ რკინის გზა საჭიროა ხალხის კეთილ-დღეობისათვისაო, მორჩა და გათავდა; ახლა აღარავის უნდა საფუძვლიანად გამოარკვიოს, სად და როგორ, რა გარემოებაშია საჭირო რკინის გზა. ნუ დავივიწყებთ, რომ ხალხისათვის მუდამ არსებობს ასეთი თუ ისეთი წესები, რომელიც ხელს უწყობს როგორც ხალხს, აგრეთვე თვითეულ ადამიანის კეთილ-დღეობას, მაგრამ ეს წესები ყოველ ჟამს და ყოველ ხალხისათვის ერთნაირი არ არის. რაც სასარგებლოა ერთის ერისათვის, ის შეიძლება, მავნებელი იყოს მეორესათვის და სხვ.

უცხოეთში შავი-ქვის ვაჭარნი უცხოელნი არიან—ფრანგები, ბერძნები, ჰერმანელები, რომლებსაც საქართველოში კომისიონერები ჰყავთ. უფრო შესამჩნევი ამ უკანასკნელთ შორის არიან: სოლილიაკი, პანასჯე, შოტენზაკი, გროტე, ბოლდეტტი, რიხნერი, ავგერინო და სხვა. ჩვენი მწარმოებლები, გარდა ნ. ბ. ღოღობერიძისა, რომელსაც თვით გააქვს შავი-ქვა საზღვარ-გარედ, არც ერთი ზესტაფონს არა სცილდება; ბევრი-ბევრი ფოთამდე მიიტანოს. რა-კი ჭიათურის რკინის გზა დაიწყებს წესიერს მუშაობას, მაშინ ხომ ეს მწარმოებელნი, ვგონებ, ჭიათურას აღარ გასცილდნენ. უცხოელნი, უცნოდინარნი ხალხის ჩვეულებისა, აქაურ ვაჭრობის წეს-რიგისა და ვითარებისა, პირველად ისევ ქართველის შემწეობითა და დახმარებით იწყებენ საქმეს; მერე-კი, თუ როგორმე ფეხი მოიმაგრეს, ადვილად იშორებენ იმას თავითგან. როგორ გაუწიოს მოცილეობა ჩვენმა მწარმოებმლმა უცხოელს—დიდს თანხის პატრონს?

ყოველ მრეწველობისათვის, ვაჭრობისათვის საჭიროა თანხა, საჭიროა კრედიტი; ამას ორივეს მოკლებულია ჩვენი მწარმოებელი. უნდა ჰნახოთ, როგორ დაესევიან ხოლმე ევროპიელებს, როდესაც ისინი ფულს მიიღებენ ხოლმე ევროპითგან. ერთად-ერთი საშუალება ამისთანა ყოფაში შეერთებაა წვრილ მწარმოებელთა. იქმნება მაშინ მაინც მოიპოვონ საჭირო დამოუკიდებლობა და მოიშორონ თავითგან ბატონობა უცხოელებისა. პირველი ნაბიჯი ამ შეერთების დასაარსებლად კიდეც გადადგმულია. ამ ერთის თვის წინად დაიბეჭდა ქუთაისში „ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელ ამხანაგობის პროექტი“, რომელსაც, იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ. პროექტის აზრით, ძირითადი თანხა ამხანაგობისა უნდა იყოს არა ნაკლებ 200,000 მანათისა; ეს ჯამი გაიყოფება 2000 აქციად, თითო აქცია ეღირება ასი მანათი. მაშასადამე, არავისთვის ძნელი არ იქმნება მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობაში. პროექტი არ იქმნება წარდგენილი დასამტკიცებლად, სანამ არ შეგროვდება 2000 ხელის მომწერელი. აქციების შეძენა შეიძლება როგორც ფულით, აგრეთვე შავ-ქვიან ადგილებით, რომელიც შემდეგ დაფასდება ამორჩეულ კომისიის მიერ; ეს უკანასკნელი გარემოება უადვილებს მემამულეებს, მეტადრე თთ. წერეთლებს, მიიღონ მონაწილეობა ამხანაგობაში. რასაკვირველია, უპირველესი საქმე თანხის მოგროვება არ არის, საქმე თანხის ისეთ მოხმარებაშია, რომ უმეტესი სარგებლობა მოუტანოს ამხანაგთ. ამისათვის საჭირონი არიან პატიოსანი საქმის მწარმოებელნი, ამისთანა საქმეებში დახელოვნებულნი, დიდად ფრთხილნი, მომჭირნენი და ამხანაგობისათვის თავ-გამოდებულნი. უამისოდ შეიძლება ამხანაგობასაც ისეთი ბედი ეწიოს, როგორიც სწვევია არა ერთსა და ორს კამპანიას. ამხანაგობის ზარალი საზოგადოებასაც გულს აუცრუებს.

როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, საქართველოთგან ვგზავნით საზღვარ-გარედ შეუმუშავებელ მასალას. მანგანეზის ლითონს, რომლისაგანაც კეთდება ფერრო-მანგანი, შემდეგში კიდევ ამისაგან—ფოლადი და რკინა. რასაკვირველია, უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის, რომ შეგვეძლოძ და ვგზავნოთ თვით ფერრო-მანგანი, რომლის გაკეთებისათვის საჭიროა რკინის ლითონი, შავი-ქვა, საწვავი მასალა—შეშა ან ნახშირი, ფული, ცოდნა და გამჭრიახობა, რომელიც, საზოგადოდ, გვაკლია. რკინის ლითონი იპოვება რკინის გზის სადგურ ძირულის მახლობლად, სოფ. შროშის მიდამოებში. ამ ლითონს იქ იხსენიებს აბიხი. ვიღაც ვაჭარს სმოლინს თურმე უნდოდა 1861 წელს დაეწყო მისი შემუშავება, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დაუნებებია თავი. სოფ. კაცხის რკინიანი კირნარი ამტკიცებს სიახლოვეს რკინეულ ლითონისას. ზემო ქართლშიაც, საამირეჯიბოში იპოვება ნაჭრები რკინის ლითონისა, მაგრამ ყოველივე ესე უფრო დაწვრილებულს გამოკვლევას ითხოვს. ქვა-ნახშირის ბექებიც იპოვება ზოგიერთ მამულებში, მაგალითად: სპეთი, შროშა, ხრეითი, მუხურო.

დასასრულ, ვსურვებთ შავი-ქვის წარმოების ყოველ გვარ განკარგებასა და წარმატებას. ამ წარმოების გაძლიერება დიდს სარგებლობას მოუტანს, როგორც თვით მწარმოებელთ, ისე ქვეყანასაც, მთელს საქართველოს. საჭიროა მხოლოდ, რომ ვინც ამ საქმეში ხეირსა ჰნახავს, გამდიდრდება, არ დაივიწყოს ბედით დაჩაგრულნი, ის მდაბიო მუშა ხალხი, რომლის მარჯვენითაც ასე ბევრი კეთდება ამ ქვეყანაზედ. ყველას უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ როცა საზოგადოებაში ერთს კუთხეზედ აუარებელი სიმდიდრე გროვდება, მეორეზედ—ზღვა დგება ცრემლისა, საცოდავობისა, სიღარიბისა და სისაწყლისა.

მთა-მადნის ინჟენერი
გ. დეკანოზიშვილი

16 ნოემბ. 1893 წ.

და არა „წინამძღოლად“, როგორც მიღებულია ჩვენს ლიტერატურაში.

დასასრულ წარმოდგენილმა კომედიამ „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ იშვიათი მხიარულება და ალტაცება გამოიწვია თეატრში მრავლად თავ-მოყრილი საზოგადოების შორის, მეტადრე ქ-ნ გაბუნიას წყალობით, რომელიც შეუდარებლად თამაშობს ამ პიესაში ელისაბედის როლს. საუცხოვო იყო აგრეთვე ბ-ნი აბაშიძე ოსეფას როლში. ახალის მოთამაშის ბ-ნის სავანელის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით იმის მეტს, რომ იმედია, გამოსადეგი არტისტი დადგეს.

ჩ. ნ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

გაზეთ „Гражданинъ“-ში ერთი უშველებელი მეთაური წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც რამდენიმე მაგალითია მოყვანილი იმის დასამტკიცებლად, რომ დიდად საჭიროა «როზგი» ისევ იყოს შემოღებულიო. მოგვყავს უფრო ძლიერი საბუთი, ამ მეთაურ წერილში მოყვანილი:

თუ ინგლისში კანონებში გამოცდილებამ შესუსტა ზიზღი გაროზგვის მიმართ, თუ ეს ზიზღი, როგორც ჰფიქრობს შოპენჰაუერი, ეს შესანიშნავი მოაზრე, ცრუ-მორწმუნოებაზედ არის დამყარებული, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ცრუ-მორწმუნოება ოდესმე სრულიად გაჰქრება. განათლების გავრცელებასთანავე ერთად ისეც ისევე აიკრეფს გუდა-ნაბადს, როგორც ბევრს სხვა სარწმუნოებას აუკრეფია.

სწორედ ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტია! საზოგადოდ ეს მეთაური წერილი დიდის გულ-მოდგინებით არის დაწერილი.

### სტატისტიკა ქორწინებისა.

ოფიციალურ ცნობებით 1892 წელს პეტერბურგში ქორწინება მომხდარა 5974, ესე იგი სულ 1% პეტერბურგის მცხოვრებთა.

ამავე ცნობებითგან სჩანს, რომ პირველად ჯვარი დაუწერია 5,250 კაცს. მათ შორის 4860 კაცს გასათხოვარი ქალები შეურთავთ, 364—ქვრივი ქალები და 26—ქმარ-გაშვებული; 704 ქვრივ კაცს დაუწერია ჯვარი; მათ-შორის 499—გასათხოვარ ქალზედ, 191—ქვრივზედ და 14 ქმარ-გაშვებულზედ. ცოლ გაშვებულ 20 კაცს ჯვარი დაუწერია 14 გასათხოვარ ქალზედ, 2 ქვრისზედ და 2 ქმარ-გაშვებულზედ. რაც შეეხება ჯვარ დაწერილთა წლოვანებას, სასტატისტიკო ცნობათაგან სჩანს, რომ ყველაზედ მეტი ჯვარის წერა მომხდარა 26—30 წლებ-შორის (2,151); 21—24 წლისას 1,706 კაცს დაუწერია ჯვარი. 31—35 წლებში—876; 36—40 წლებში—386; 20 წლისაზე უმცროსთ—305; 41—45 წლისას—258; 46—50 წლისას—90; 51—55 წლისას 90; 56—60 წლისას—27 და 60 წლისაზე უფროსთ—43.

## რუსეთი

სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი შესახებ „დედათა განათლების რეფორმებისა“. ახალ პროექტის ძალით დედათა გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ ჩამოერთმევათ ის უფლებანი, რომელიც ეხლა აქვთ მინიჭებული. პროექტის აზრით, ეს გარემოება იმას გამოიწვევს, რომ დედათა გიმნაზიებში მაშინ მხოლოდ „უმაღლეს წოდებათა ქალები იქმნებიან“.

ამ პროგრამმის შესახებ გაზეთი „Рус. Вѣд“.-ი სწერს:

არსებობა „უმაღლესს წოდებათათვის“ დედათა გიმნაზიისა ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ზემოხსენებულს პროექტს ან ის მოჰყვება, რომ იგი არ იქმნება სასწავლებლად მხოლოდ „უმაღლესს წოდებათა“ ქალთათვის, ან გიმნაზია სრულიად ცალიერი იქმნება, რადგანაც „უმაღლეს წოდებათ“ შეძლება აქვთ თავიანთი ქალები შინ გამოზარდონ. ორთავე შემთხვევაში ამ პროექტის ძალით საშუალ წოდებათა ქალები მოაკლდებიან სწავლა-განათლებას: ან სრულიად არ ისწავლიან დედათა გიმნაზიაში, და, თუ შევიდნენ კიდეც, სწავლა-განათლება უნდა მიიღონ ახალ პროგრამმით, რომელიც შეეფერება მხოლოდ „უმაღლესს წოდებათა“ ქალების სწავლას.

—

„Рус. Мыс“.-ში დაბეჭდილია წერილი ანტ. პ. ჩეხოვისა შესახებ დამნაშავეთა ცხოვრებისა კუნძულ სახალინზე. ავტორი სწერს სხვათა შორის:

წვიმიან დღეებში მუშაობის შემდეგ დამნაშავენი ციხეში ბრუნდებიან სველის ტანთსაცმელით და ტალახიან ფეხსაცმელითა. ტინთსაცმელს ვერსად ვერ გაიშრობს, ზოგს საწოლთან ჩამოჰკიდებს, ზოგს, ისევ სველსა, ქვეშ გაიშლის. ოთახში ტრიალებს ტყავის სუნი დამპალის ქურქისა, კუპრისა, დიდის ხნის გამოუცვლელის საცვალისა, წენკოსი, ბაღლინჯოებისა ყველა ამით ისე მოწამლულია ჰაერი, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდება.

დამნაშავეთა შორის ჩეხოვს სხვათა შორის უნახავს განთქმული სოფია ბლიუვშტეინი, რომელსაც „ოქროს ხელს“ ეძახდნენ:

ეს პაწია, გამხდარი თმაში, ჭაღარა შერეული ქალი ძლიერ მალე დააბერა კატორგაში ცხოვრებამ. ხელებში ბორკილი აქვს გაყრილი, საწოლზედ ერთი ქურქი უგდია, რომელიც მისი ტანთსაცმელიც არის და ლოგინიც. უყურებ ამ საცოდავ ქალსა და არა გჯერა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ციხის მცველთ აგიჟებდა თავისის სილამაზით სამოლენსკის ციხის მცველს, მაგალითად, ისე შეუყვარდა, რომ მასთან ერთად გაიქცა ციხითგან. სახალინზედ რომ გამოგზავნეს, პირველად რამდენსამე ხანს თავისუფლად ჩაიცვა ჯარის კაცის ტანისამოსი და გაქცევა განიზრახა, მაგრამ დაჭირეს. ვიდრე თავისუფლად იყო, ალექსანდროვსკის სადარაჯოში რამდენიმე ბოროტ-მოქმედება მოხდა. მოჰკლეს ერთი მედუქნე და ერთს ურიას მოჰპარეს 56 ათასი მანათი. ყველა ეს და კიდევ მრავალი სხვა დანაშაული ჰბრალდება „ოქროს ხელს“. ადგილობრივმა გაამოძიებამ იმდენ საქმეში გაჰრია ეს ქალი, იმდენ დანაშაულობას სდებს ბრალად და ისე აწეწ-დაწეწა მისი საქმე, რომ ადამიანი ვერას გაიგებს. მოპარული 56 ათასი მანათი ჯერ მაინც ვერ უპოვნიათ და, ვინ იცის, რას არ ლაპარაკობენ ამ ფულის მოპარვაზედ.

—

პეტრეს სასოფლო სამეურნეო აკადემია, ახალ წესდებით, სრულიად გაუთანასწორდება ახალ ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. პროექტი ახალის წესდებისა უკვე წარედგინა განსახილველად მინისტრთა კომიტეტს.

—

დღეს, პირველს დეკემბერს, პეტერბურგის თავად-აზნაურობა დიდად სადღესასწაულო სადილს უმართავს საფრანგეთის ელჩს, გრაფ დე-მონტებელლოს და საფრანგეთის საელჩოს სხვა წევრთ. სულ ამ სადილს 400-მდე სული დაესწრება, მათ შორის 250 პეტერბურგის გუბერნიაში მცხოვრებელი თავად-აზნაური. დაესწრებიან აგრეთვე მინისტრები და სხვანი მრავალნი დიდად წარჩინებულნი. ამას გარდა პეტერბურგის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან რუსეთის თავად-აზნაურთა ყველა წინამძღოლს მიწერილობა გაეგზავნათ, მონაწილეობა მიიღეთ როგორმე ამ საფრანგეთის პატივსაცემს სადილშიო და, რასაკვირველია, თქმა უნდა, ისინიც უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ მიწერილობას.

—

მთავარ-შტაბის ნიკოლოზ აკადემიის პროფესორს ა. მ. ზოლოტარიოვს მთელი წიგნი დაუბეჭდია რუსეთის შესახებ, რომელშიაც საყურადღებო ცნობები მოჰყავს რუსეთის ჯარის ახალგაზდა ჯარის-კაცთა მიერ შევსების შესახებ. იმის სიტყვით, ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში 3.141,000 ყმაწვილი კაცი შეუმოწმებიათ იმ აზრით, გამოდგება თუ არა სამხედრო სამსახურისათვისაო. ამ რიცხვითგან დაუწუნებიათ 35,6%, რაც მეტად დიდი პროცენტია, სხვა სახელმწიფოებებთან შედარებით. მაგალითებრ, საფრანგეთში მხოლოდ 25,6%-ია დაწუნებული. ეროვნების მხრივ, უფრო უვარგისნი არიან სამხედრო სამსახურისათვის პოლონელნი, ოსტზეის მხრისა და ციმბირის ზოგიერთ განაპირა ადგილების მცხოვრებნი და აგრეთვე რუმინები და ებრაელნი. სულ ნაკლებ სიმაღლის ზომად ჯარის-კაცთათვის რუსეთში დაკლებულია მხოლოდ 2 ადლი 2,5 გოჯი, საფრანგეთში—2 ადლი 2,6 გოჯი, ავსტრო უნგრეთში—2 ადლი 3 გოჯი, იტალიაში—2 ადლი 3,1 გოჯი და გერმანიაში—2 ადლი 3,3 გოჯი. საერთოდ რუსეთის ჯარში უფრო მაღალის ტანის ჯარის-კაცნი მოიპოვებიან, ვიდრე, მაგალითებრ, საფრანგეთის ან ავსტრიის ჯარში. ჩვენში, მაგალითებრ, სამსახურში მყოფთა შორის $^3/_4$ აქვს შუათანა სიმაღლე, ავსტრიისა და საფრანგეთში—$^1/_2$; მცირე ტანიანი ჩვენს ჯარში $^1/_7$, საფრანგეთში—$^1/_5$ და ავსტრიაში—$^1/_3$.

### მაქს-ფრიდრიჰ მიულლერი.

24 ნოემბერს შეუსრულდა 75 წელი გერმანიის შესანიშნავს ლინგვისტსა და სანსკრიტოლოგს მ. მიულლერს. მიულლერი დაიბადა 1823 წელს, სწავლობდა სანსკრიტოლოგიას ჯერ ლეიპციგის უნივერსიტეტში ბროკჰაუზის ხელმძღვანელობით და შემდეგ პარიზში—ორიენტალისტის ბიურნუფის ხელ-მძღვანელობით. 1848 წლითგან მ. მიულლერი ოქსფორდის უნივერსიტეტში იმყოფება პროფესორად. მეცნიერებაში მიულთერმა დიდი სახელი მოიხვეჭა აღმოსავლეთის ლიტერატურის თხზულებათა ბეჭვდით, სალინგვისტო და მითოლოგიის გამოკვლევებით და სხვ.

მ. მიულლერის ფილოლოგიური გამოკვლევანი შესახებ ენისა, წინადადებათა, სილოგიზმებისა და სხვა. გამსჭვალულია ფილოსოფიურისა და სამეცნიერო ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ მ. მიულლერი მხოლოდ მეცნიერია და არა საზოგადო მოღვაწე. მთელის ინგლისის მუშები დიდს პატივსა სცემენ ამ გამოჩენილს მეცნიერს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 4 დეკემბერს წაკითხულ იქმნა დეკლარაცია კაზიმირ პერიეს სამინისტროსი. დეკლარაცია სწორედ ისეთი გამოდგა, როგორსაც მოელოდნენ. კონსტიტუციის განხილვა და ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოდგან,—ეს ორი რეფორმა, რომელთაც რადიკალები ითხოვდნენ, უარ-ყოფილი იქმნა. დეკლარაციაში უმთავრესი ადგილი შემდეგს სიტყვებს უჭირავს: „პატივის ცემა აზრისა და გონების თავისუფლებისა“, „უარყოფა რეაქციისა“, „დაცვა აწინდელ წესისა“, „ნაყოფიერი მოქმედება მთავრობისა“, „მართვა ერისა კანონის მიხედვით“, «განგრძობა უწინდელ სამინისტროს საეკონომიო მოქმედებისა», „მშვიდობიანი იარაღი თავისუფლებისა“ და სხვ. და სხვ. ამ სიტყვების მეტი არაფერია ზემოხსენებულ დეკლარაციაში. მხოლოდ ერთს-კი ჰპირდება ერს კაზიმირ პერიეს სამინისტრო: ვეცდებით, სახელმწიფო გარდასახადი უფრო სამართლიანად გავანაწილოთო.

—

**ვენა.** აქაურს სამკურნალო წრეებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ლიბერცისა და ლიუბენ ჰეიმერის მიერ აღმოჩენილს საშუალებას ყელჭირვების წინააღმდეგ.

### უბინაო ბავშვები

ექვს ნოემბერს პეტერბურგის მშობელთა კრებულს ერთმა წევრმა მოახსენა, ამ ჟამად პეტერბურგში შესდგა პატარა წრე, რომელსაც განზრახვა აქვს ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც მუშები სცხოვრობენ, გაჰმართონ თავშესაფრები ბავშვებისათვისო. ეს განზრახვა იმითია გამოწვეული, რომ მუშა-კაცს დრო არა აქვს სახლში ყური უგდოს ბავშვსა, და ხშირად ან ოთახში სტოვებს მარტოს და ან ქუჩაში. ზემოხსენებულ წრეს უკვე დაუქირავებია ერთი სახლი რიყეზედ, და იქა ჰსურთ თავშესაფარი გაჰმართონ ბავშვებისათვის და ამიტომ ყველასა სთხოვენ ამ კეთილ საქმისთვის დახმარებას. მშობელთა კრებულმა იქვე ფული შეაგროვა ამ საქმისთვის.

ზემოხსენებული თავშესაფარები პირველად გაიმართა ერლანგენში ოთხმოც წლებში. შემდეგ ერლანგეს მიჰბაძეს გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა ქალაქებმა. აი როგორ არის გამართული ეს თავშესაფრები უცხოეთში. თავშესაფარს წარმოადგენს კარგა დიდი სახლი, დიდისავე ეზოთი ან ბაღით. მშობელთ აქ მოჰყავთ თავიანთი ბავშვები. ის ბავშვები, რომელნიც ჯერ სკოლაში არ დადიან,—დილითგანვე, და ვინც სკოლაში სწავლობენ—გაკვეთილების შემდეგ. თავშესაფარში ბავშვებსა აქვთ მარგებელი საჭმელ-სასმელი. მთელ დღეს ამ თავშესაფარში ატარებენ, მეცადინეობენ, მღერიან, თამაშობენ. საღამოთი მოდიან მშობლები და ბავშვები მიჰყავთ, ან თითონ მიდიან. გაზაფხულზედ ბაშვებს აძლევენ ყვავილებს ოთახში გასაზრდელად და ბავშვმა შემოდგომაზედ ეს ყვავილი თავშესაფარში უნდა მოიტანოს. ვინც კარგად მოუვლის ყვავილს და გაზდის, საჩუქარს აძლევენ. ბავშვებს ძლიერ უყვართ თურმე ამისთანა თავშესაფარები. ზოგიერთ თავშესაფარებში პატარა საყმაწვილო წიგნებსაც ბეჭდვენ და ბავშვებს ურიგებენ.

## გასართობი

—

უმეტესს ნაწილს იმათსას, რომელთაც თავისის მხნეობითა დიდი ქონება მოუპოვებიათ, შეუძლიანთ ნიუტონის პასუხი გამოიყენონ სიტყვის მასალად. აი ეს პასუხი: ერთხელ ნიუტონსა ჰკითხეს, როგორ აღმოაჩინე სამყაროს კანონიო?

— ისეო, უპასუხა ნიუტონმა: რომ განუწყვეტლად სულ იმის ფიქრში ვიყავ და სხვა საფიქრებელი ჩემთვის აღარა იყო-რაო.

—

ერთი სახელმწიფო მოხელე სამსახურითგან მაშინ დაითხოვეს, როდესაც ამ სამსახურის წყალობით ძალიან გამდიდრდა და ჯიბეები გამოიტენა.

— დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ დამითხოვესო, სთქვა მოხელემ, რადგან ჩემის საქმის მოწყობას მოვრჩი და ეხლა სახელმწიფოს საქმეების მოწყობას მივყობდი ხელსაო.

—

ბურვალემა და ტავენინმა დიდი მამულები შეიძინეს ლიუდოვიკ მე-XIV ის დროს. ერთხელ ამათ სხვა შეძლებულთა კაცთა შორის ლაპარაკი მოუვიდათ. დიდს ლაპარაკში იყვნენ, რომ ტავენინმა წააყვედრა ბურვალეს:

— ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ჩემი ხელის-მოსამსახურე იყავიო.

— მართალიაო, უპასუხა ბურვალემ: არა ვფარავ, მაგრამ შენ-კი რომ ყოფილიყავ ჩემი ხელის-მოსამსახურე, ეხლაც იგივე იქნებოდიო.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

21 ნოემბერს გარდაიცვალა შესანიშნავი ფიზიკოსი ჯონ ტინდალი.

—

პარიზში ამას წინად დასაჯეს ვიდაც კუნცი, რომელსაც ცხვრის მჭლით მოუკლა ერთი შეძლებული მოხუცი დედაკაცი. დასასჯელმა დიდი გულ-მაგრობა გამოიჩინა დასჯის დროს, ღმერთსა და ხალხს მოტევება სთხოვა, მოძღვარს რამდენჯერმე გადაეხვია და სხვის დაუხმარებლად ავიდა ეშაფოტზედ. ეს კიდევ არაფერი. როდესაც თავი მოსაკვეთელს მაშინაზედ დაადებინეს, ისეთ ნაირად მოიბრუნა კისერი, რომ ჯალათს უკან შესძლებოდა ქმეგობის დანის დაკვრა. სასჯელის აღსრულებას ამბობენ, რომ არასოდეს არ მოესწრებოდათ საფრანგეთში სიკვდილით დასჯილის ასე გულ-მაგრად კვდომას. დასჯილი 23 წლის იყო.

## გამოსადეგი ცნობა

—

დაჟანგებულ ვინტის ამოღება. ვინტი ხშირად იმ ადგილას, სადაც ჩასმულია, ისე დაჟანგდება ხოლმე, რომ დიდად ძნელი ხდება მისი ამოღება. ბევრჯელ აწვალებიან, ამტვრევენ კიდეც შიგ, მაგრამ მაინც ვერას მოუხერხებენ ხოლმე, რაც დიდად აწვალებს ადამიანს, მეტადრე სამეურნეო იარაღის დაშლის დროს. ამასობაში მოიძებნება ფრიად ადვილი საშუალება დაჟანგებულის ვინტის ამოსაღებად, რაც უნდა გამაგრებული იყოს ვინტი და რაც უნდა ძლიერ მოჭკიდებოდეს ჟანგი. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ძალიან გახურებული რკინა, ისე ძლიერ, რომ სრულიად გაწითლებული იყოს, და სამიოდე წუთს დაადოთ ზემოდგან დაჟანგებულს ვინტს, რომ ვინტი კარგად გახურდეს. მაშინ ისეგე ადვილი შეიქმნება მისი ამოღება, თითქოს ის-ის იყოს ახლად გამაგრებინოთო.

# დეპეშა

29 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შაბათს სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა მომეტებული უფლებანი მიენიჭოს სავაჭრო დეპარტამენტს. თითოეული განყოფილება დეპარტამენტისა რამდენსამე განყოფილებად გადაკეთდება.

ზღვით მისვლა-მოსვლის წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა შეამციროს ტარიფი მოსკოვ-ვარშავის რკინის გზით ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ საქონლის გადასატანად, რათა ამ გვარად საქონლის მიტანა ერთ ფასად დაჯდეს ავსტრიითგან და ინგლისითგან მიტანილ საქონელთან.

**პარიზი.** პოლიციას ჯერ ისევ დაპატიმრებული ჰყავს ვალიანი და 10 საეჭვო კაცი. ჰოლანდიელ ანარქისტს კოგენსს სახლი გაუჩხრიკეს და უპოვნეს სპილენძის ლულა და ათასამდე წერილი გერმანიის ანარქისტებისაგან. კოგენსი დააპატიმრეს.

მინისტრთა საბჭოს უკვე მზადა აქვს კანონ-პროექტი ანარქისტების ბოროტ-მომქმედების წინაალმდეგ და მათ თავითგან ასაცილებლად. ვალიანი გადიყვანეს საპატიმროს ქსენონში; რამდენიმე კაცი შეიკრიბა „Hôtel Dieu“-სთან და ყვიროდნენ: „სიკვდილი ანარქისტებს“. სხვა ალარავინ დაუპატიმრებიათ.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მოიწონა შემოდგომის განკარგულება შესახებ იმისა, რომ ბაჟი მოემატოს რუსეთის საქონელს, ხოლო ამ განკარგულებამდე შეტანილი საქონელი ბაჟისაგან განთავისუფლებული უნდა იქმნას.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152¾ | 153½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 245⅝ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 222½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5%. . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 | — „ | — „ |
| 5%. . . . . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97½ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

# განცხადებანი

ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს მობრძანდეს, ვინც შარშან ორი წყვილი საყურე დაჰკარგა ტფილისში და მიიღოს თავისი დანაკარგი. საჭიროა მხოლოდ წარმოადგინოს საბუთები, რომ ის დანაკარგი სწორედ იმისია.

(3—2)


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—130)





## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. .ე . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |


## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩ ი კ ა გ ო“

წინანდელი სასტუმრო „დ ა ნ ი ა“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—22)



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოჰემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.




**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენედიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპელაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ, ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Ноября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე